სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №90

ქ. ლანჩხუთი 11 მარტი 2015 წელი

ერთის მხრივ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი გამგებლის, მ/შ ვახტანგ ზენაიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს "EMI" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ბადრი მანველიძის სახით, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 „მხარე" - „შემსყიდველი" ან/და „მიმწოდებელი".

1.7 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სამკაულები, საათები და მონათესავე ნივთები (CPV კოდი - 18500000).

2.1.1. საჩუქრები და ჯილდოები (CPV კოდი - 18530000).

2.1.2. ლანჩხუთის რაიონის სკოლებს შორის სპორტული ოლიმპიადის გამარჯვებულთათვის სპორტული თასების და მედლების შეძენა. (დანართი N1-ს შესაბამისად)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 201 (ორასერთი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეთა მიერ „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მხარეებს შორის გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია ინსპექტირების ჯგუფი.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

ა) „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

ბ) „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება;

6. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. №37.

6.2 საქონლის მიწოდების ბოლო ვადა 2015 წლის 20 მარტის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) არ ჩაბარების რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული საქონელი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

უზრუნველყოს „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია

მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული, ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სრულიად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება ტექნიკური დავალების მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებლთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს დასკვნით დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5% -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზებისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით „მიმწოდებლისათვის" გადასახდელი თანხიდან.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 20 აპრილის ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

ს/კ: 233730139

ა/ა: GE64TP0033030020000011

სს „პრივატბანკი"

ბ/კ: GAVOGE22

მის: ქ. ლანჩხუთი

კოსტავას ქ. №37

T – 0 494 22 30 10

მუნიციპალიტეტის გამგებელი: /ვახტანგ ზედგინიძე/

„მიმწოდებელი"

შპს „EMI"

ს/კ: 445389393

ა/ა: GE83BG0000000887857000

სს „საქართველოს ბანკი"

ბ/კ: BAGAGE22

მის: ქ. ბათუმი

ანგისის ქ. №31

დირექტორი: /[illegible] მაწყლიძე/

დანართი №1

	კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ღირებულება
1	18530000	სპორტული თასი	2	25	50
2	18530000	სპორტული თასი	2	20	40
3	18530000	სპორტული თასი	2	15	30
4	18530000	მედალი	45	1.8	81
		ჯამი			201